# ცნობის ფურცელი

№ 1961 | სამშაბათი, 22 ოქტომბერი | 1896—1902 | ყოველ-დღიური გამოცემა | № 1961

**ხელის მოწერის ფასი:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

წმ. ნიკოლოოზის ეკკლესიაში (რიყეზე) ხუთშაბათს, 24 ოქტომბერს, გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ტრაგიკულათ გარდაცვალებულის, ამიერ კავკასიის რკინის გზათა კანტროლის

თ. დიმიტრი ალექსანდრეს-ძის გედევანოვისა,

რასაც აუწყებენ გარდაცვალებულის მამა და ძმები ნათესავთ, თანამოსამსახურეთ და ნაცნობთ. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე.

მთავრობის ნებართვით
სამს ღვინობის თვიდან გაიხსნა

ახალი მეთოთხმეტე აფთიაქი

პროვიზორის ნიკოლოოზ ივანეს ძის

ბაზიეროვისა.

პესკის ქუჩა, სახლი № 26. (10—6)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

**ვ. ი. ჭიჭინაძე**—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

**ნ. ტ. მულინი.** ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

**ვ. დ. ლამბაშიძე**—შინაგანი 9—10 საათამდე.

**ზ. ზ. მალალაშვილი**—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

**ლ. ი. ქამოევი.**—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფისათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

**ქ. გ. ელიოზიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

**დ. ა. გედევანიშვილი,** შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

**ვ. მ. მანსვეტოვი.** შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 კვირაობით 9—11.

**ა. ზ. ბარსუქოვი**—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 12—1 საათამდე.

**ზ. მ. ამბარდანოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

**პრ. მ. სობოლევსკი**—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 1—3 საათ.

საღამოთი:

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

**ა. ზ. მალალაშვილი**—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამი მანათიდამ ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (აგზალის ქუჩის დასაწყისში).

ტელეფონი № 274. (წლ).

ექიმი

ვ. ლამბაშიძე

იღებს ავადმყოფებს დილის 10—11 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან.

ექიმი

ვ. ს. მუსხელაშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს დილით 12—2 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. წყნეთის ქუჩა № 24 სახ. ვაჩნაძისა. (წ).

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მალალაშვილი

(მიხეილის ქუჩა, 30.—ტელეფონი 450).

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 10—1 საათამდე და საღამოთი 6—8-მდე.

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, № 38. (წლ.)

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ 10 ოქტომბერს, ნაშუადღევის 1-ლ საათზე გაიხსნა ქალაქის ახალი **საავადმყოფო** 80 ავადმყოფისათვის. საავადმყოფოში მიიღებენ ყოველგვარ ავადმყოფს ქალსა და კაცს; მიიღებენ დიფტერიტით, ყვავილით, ქუნთრუშით და წითელათი ავადმყოფთ; სახადით ავადმყოფთ მხოლოდ მამაკაცთ მიიღებენ. ავადმყოფის შენახვა უფასოა. ავადმყოფს დღისითაც და ღამითაც მიიღებენ. ავადმყოფთა მნახველებს საავადმყოფოში მოსვლა შეეძლებათ კვირაობით, სამშაბათობითა და პარასკევობით ნაშუადღევის 2 საათიდან 4-მდე. ძუძუ-მწოვარა ბავშვებს მიიღებენ დედიანათ; ბავშვები 4 წლამდის მიიღებიან დედიანათ, თანახმად საავადმყოფოების ადმინისტრაციის ნებართვისა. თუ ბავშვი 4 წლისაზე მეტია, მას საავადმყოფოში დედიანათ აღარ მიიღებენ; ამ შემთხვევაში შეუძლიანთ ცალკე იქირავონ ბავშისათვის განსაკუთრებული მომვლელი, რომლის შესანახად უნდა იხადონ დღეში 40 კაპ. გადამდებ სენით ავადმყოფთა საავადმყოფოში მოსაყვანად სადეზინფექციო კამერაში არის განსაკუთრებული ეტლი.

ტელეფონი № 172.

ავადმყოფის გადაყვანა უფასოა.

საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, ნოვო-ტროიცკის უბანში. (3—3)

ქართველ თავად-აზნაურთა თეატრი
(ტელეფონი № 617)

დღეს, სამშაბათს, 22 ოქტომბერს, ხარკოვის საოპერო დასის მიერ,

**ა. პ. ბონაჩიჩისა** და **ბ-ნ ბროძი-მუტინის** მონაწილეობით.

წარმოდგენილი იქნება პირველად

მარგალიტების მაძიებელნი

ოპერა 3 მოქმედ. და 4 სურათად, მუსიკა ბიზესი.

**მონაწილეობას იღებენ:** ქ-ნი ვან-დერ-ბრანდტი, ბ-ნნი: ბონაჩიჩი, ბროძი-მუტინი, პეტროვი და სხვანი. **კაპელმეისტერი** ლ. პ. შტეინბერგი.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

**კასსა ღიაა დილის 10-დან ნაშუადღევის 3 საათამდე და საღ. 6 საათიდან წარმოდგენის გათავებამდე.**

ხვალ, ოთხშაბათს, 23 ოქტომბერს წარმოდგენილი იქნება ოპერა „**ევგენი ონეგინ**“, **ა. პ. ბონაჩიჩის** მონაწილეობით.

**მთავარი რეჟისორი ივ. ფითოევი.**

(ნ. 0—28)

წარმოდგენა 8. ტელეფონი 617

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 24 ოქტომბერს 1902 წ.
ქართულ დრამატიულ დასის მიერ
**წარმოდგენილი იქნება**
ცნობილი პიესა

სოდომის წარღვნა

დრამა 5 მოქ. ზუდერმანისა, თარგ. მ. გველესიანისა

**მონაწილეობას იღებენ:** ქ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. გამყრელიძისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ნ. რონელი, მახვილი. ბ-ნნი: ანანიაშვილი, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ი. ივანიძე, კ. მესხი, კ. შათირიშვილი და სხვანი.

**ადგილების ფასი:** ლოჟები 5 მანეთიდან 10 მანეთამდე, პარტერი 70 კაპეიკიდან 3 მანეთამდე, ამფითეატრი 80 კაპეიკიდან 1 მ. 50 კაპეიკამდე, გალერეა 25 კაპ.-დან 45 კაპ.-მდე. შეგირდებისთვის ადგილები პარტერში 60 კაპ.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე**

მზადდება წარმოსადგენად „უბედურ ვარსკვლავზე“, „მუშაკი და ნებიერი“, „ძალა აღმართს ხნავს“. რეჟისორი **ვალ. გუნია.**

## ახალი ამბავი

✦ გუშინ, 21 ოქტომბერს **ხელმწიფე იმპერატორის ტახტზე აზრმანების** დღესასწაულ დღეს ალექსანდრე ნეველის სამხედრო საკრებულო ტაძარში გადახდილ იქმნა სადღესასწაულო წირვა და პარაკლისი. მწირველი იყო საქართველოს ექსარხოსი ალექსი. დაესწრნენ: მთავარ-მართებლის თანაშემწე გენ.-ლეიტ. ა. ა. ფრეზე, ტფილისის გენერლიბა, სამხედრო და სამოქალაქო უწყებათა უფროსნი, წოდებათა და ქალაქის წარმომადგენელნი და დიდძალი საზოგადოება. გუშინვე პარაკლისები გადახდილ იქმნა ყველა ეკკლესიებში და სასწავლებლებში. დღისით ქალაქი მორთული იყო დროშებით, ხოლო საღამოს გაჩირაღდნებული.

✦ ფოთიდან გვატყობინებენ, რომ ქალაქის მოურავად საბჭოს **ერთხმად აურჩევია ნ. ი. ნიკოლაძე.**

✦ კვირას, 20 ოქტომბერს, დრამატიულ საზოგადოების გამგეობა და იმის მიერ მიწვეული კაცები შეუდგნენ **საპრემიოდ წარდგენილ პიესების კითხვას.**

✦ ჩვენ შევიტყეთ, რომ აგრონომს ტიმოფეევს განცხადება შეუტანია კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოში—საჭიროა **შეიცვალოს ის წეს-რიგი**, რომლითაც სამეურნეო საზოგადოება არკვევს სასოფლო-სამეურნეო საჭიროებათაო. მისის აზრით, პროგრამის მუხლ-მუხლად გარკვევა უნდა გადიდოს და თავდაპირველად უნდა გამოირკვას ადგილობრივ მეურნეთა მიწათმფლობელობის იურიდიული მხარე. მომხსენებელის აზრით, ამ საქმის გამორკვევა გამოამჟღავნებს ბევრ საჭიროებას, რომელნიც დაკმაყოფილებულ უნდა იქმნან უწინარეს ყოვლისა. საბჭოს, როგორც გადმოგვცეს, მოუწონებია ეს აზრი და საზოგადო კრებას გადასცემს განსახილველად.

✦ გუშინწინ ტფილისში ჩამოვიდა ჰოფმეისტერი **თავ. გ. დ. შერვაშიძე.**

✦ უჯარმასა და გომბორს შუა **ფოსტის გაცარცვის შესახებ** (იხ. გუშინდელი №) კიდევ შემდეგ დაწვრილებით ცნობებს იტყობინებიან: ავაზაკი 8 კაცი ყოფილა; მათგან ზოგი ჩასაფრებულა იორის ხიდ ქვეშ, ზოგიც მახლობელ ტყეში, უჯარმიდან 8—9 ვერსის მანძილზედ. როდესაც ფოსტის ეტლი მოახლოვებულა, ავაზაკნი გამოცვივნულან საფარიდან და თოფები დაუცლიათ. ეტლი გაჩერებულა; გამოსულა სტრაჟნიკი და დაუწყია ბუდიდან თოფის ამოღება; ამ დროს ავაზაკთ კიდევ უსვრიათ თოფები, იქვე მოუკლავთ სტრაჟნიკი და დაუჭრიათ ფოსტალიონი; მეეტლე მაშინვე გაქცეულა. ავაზაკთ გაუჩხრეკიათ ფოსტა და წაუღიათ ქაღალდისა და ვერცხლის ფული 5800 მან.; იქვე ცალკე აბგაში ყოფილა 2 ათას მანეთის ოქრო, რომელიც ავაზაკთ ვერ უნახავთ და დაუტოვებიათ. პატარა ხნის შემდეგ გაცარცვის ადგილას გამოუვლია ტფ. სამოსამართლო პალატის წევრს რუსანოვს, რომელმაც, როგორც ვწერდით, დაჭრილი ფოსტალიონი გომბორს წაიყვანა.

✦ კვირას, 20 ოქტომბერს, პირველ გიმნაზიის სადგომში, გენერალ-ლეიტენანტის რეიტერის თავმჯდომარეობით, **კრება ჰქონდა** პირუტყვთა მფარველ საზოგადოებას. პირველად თავმჯდომარემ აცნობა კრებას, რომ საზოგადოების ახალი სადგომი უკვე დამთავრებულია; კურთხევა უნდა დაინიშნოს 8 ნოემბრისათვის, როდესაც საზოგადოების მფარველის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძის სახელობის დღესასწაულია. ამავე დღეს საზოგადოებამ უნდა გარდაიხადოს 25 წლის არსებობის სახსოვრად საიუბილეო დღესასწაული. ახალ სახლის აშენებაზე საზოგადოებას სხვა-და სხვა პირისა დასდებია 8000 მან. ამის გასასტუმრებლად გამგეობას მოუსურვებია 10,000 მან. დამატებით სესხის აღება ტფილისის საკრედიტო საზოგადოებიდან. გამგეობას ახალის სახლის დაგირავება ჯერ ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში მოუსურვებია. ბანკს სახლი დაუფასებია 15,000 მან. ამ ბანკიდან საზოგადოებას 700 მან. ნაკლები ეძლევა, ვიდრე საკრედიტო საზოგადოებისაგან. კრებამ გადასწყვიტა დაავალოს გამგეობას დააგიraოს სახლი სათავად-აზნაურო ბანკში ვალის გასასტუმრებლად.

✦ ხვალისითვის დანიშნულია **კრება სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისა**, რომელმაც უნდა განიხილოს მოხსენება განსაკუთრებულ კომისიისა სასოფლო-სამეურნეო ცოდნის ხალხში გავრცელების შესახებ. კრება დაიწყება საღამოს 8 საათზე.

✦ 20 ოქტომბრისთვის დანიშნული იყო კრება დურგალთა ამხანაგობის „**შრომისა**“, მაგრამ კრება არ შესდგა, წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობისა გამო. გადაიდვა კრება 27 ოქტომბრისათვის.

✦ ჩვენ გვთხოვენ დავბეჭდოთ შემდეგი: „ჩვენისა და ჩვენის სოფლის მხრით უღრმეს მადლობას ვუცხადებთ იმ პირთ, რომელთაც კეთილ ინებეს და ნივთიერი დახმარება აღმოუჩინეს ქვედა-შხეფის (სენაკის მაზრაში) მთავარანგელოზის ახალი ეკლესიის ასაშენებლად. მზრუნველნი: აზნ. დავით ხოფერია, ივანე ხოფერია, და ალექსანდრე კვირკველია“.*)

✦ მღ. დიომ. ხონელიძე გვთხოვს დავბეჭდოთ შემდეგი: „უგულითადესს მადლობას ვუცხადებ ჩემდამი რწმუნებულ სამრევლოს ყველა მანდილოსნებს, რომელთაც ჩემი თხოვნა სიამოვნებით მიიღეს და ჩემდამი რწმუნებული ახლად აშენებული ნაჩხეტაურის წმ. გიორგის ეკკლესიის გადასახურავად ფული მოაგროვეს. ეკკლესია უნდა დახურულიყო ყავრით; ქალებმა-კი დაუყოვნებლივ შეჰკრიბეს ურთიერთ შორის ასი მანეთი, გარდასცეს მოიჯარადრეს და ნაცვლად ყავრისა დახურვინეს მარსელის კრამიტით“.

✦ როგორც საჩხერიდან გვატყობინებენ, 10 ოქტომბერს, ღამე, ვიღაც ბოროტ-განმზრახველთ გაუტეხიათ საჩხერის მომრიგებელ სასამართლოს სადგომში, საიდანაც გაუტანიათ სხვა-და-სხვა ნივთები. წაუღიათ ხანჯლები და სხვა იარაღი.

✦ 20 ოქტომბერს ჩხუბი მოსვლიათ სოფელ პატარძეულის მცხოვრებს აბრამ კიკნაძესა და 17 წლის ივანე კრიალაშვილს. ჩხუბის დროს კიკნაძეს დანა ჩაუკრავს მუცელში კრიალაშვილისთვის, თითონ გაქცეულა და სადღაც მიმალულა. დაჭრილი მიხეილის სამკურნალოში გაჰგზავნეს.

*) ამ წერილთან ერთად მოგვივიდა შემომწირველთა სიაც, მაგრამ ვერ ვბეჭდავთ, რადგან ძალიან დიდია. სია ერთხანს რედაქციაში იქნება შენახული, თუ ვისმეს შემოწმება დასჭირდა. რედ.

## მიწის ძვრა კახეთში

(წერილი კახეთიდან)

21 სექტემბერს, ნაშუალამევის 2 საათსა და 15 წამზე მოხდა მიწის-ძვრა, რომელიც შენიშნეს მთელს კახეთში. ამ მიწის ძვრისაგან შესამჩნევად არა დაზარალებულა-რა. 4-ს ოქტომბერს დილის 11 საათსა და 19 წუთზე ხელ-ახლა მოხდა მიწის-ძვრა, რომელიც სხვა-და-სხვა ადგილას სხვა-და-სხვა სიძლიერით მოქმედებდა. თელავში და საზოგადოდ ალაზან გამოღმა (მარჯვენა ნაპირზე) მიწის-ძვრა არ იყო ძლიერი და არც შესამჩნევად დაუზარალებია შენობები. ალაზან გაღმა (მარცხენა ნაპირზე) ს. შილდას ზევით და ს. ყვარელს ქვევითაც ძლიერ შეინძრა მიწა, ძლიერი იყო განსაკუთრებით თვით ყვარელსა და შილდაში. მიწის-ძვრის წინად თითქმის მთელი საათი ისმოდა მიწის ქვეშიდან არა ჩვეულებრივი ხმაურობა. ზოგმა ეს ხმაურობა უფრო ადრე შენიშნა ყვარელის ზევით დურუჯის ხეობაში. ამ ხეობას ჩამოჰყვა ხმაურობა და სოფლადაც ისმოდა; ზედ დატანებით მიწის-ძვრაც მოხდა.

მიწის-ძვრამ ყვარელში დააზიანა ორი ეკკლესია, სახელდობრ წმ. ნათლის მცემლისა და ფერისცვალებისა და 55 სახლი და სხვა შენობა. ეკკლესიებში თაღები და კედლები დასკდა ისე ძლიერ, რომ ადგილობრივ მთავრობის განკარგულებით ეს ეკკლესიები დაკეტილია. სახლებსა და მარნებში ზოგგან კედლები დაიქცა, ზოგგან დასკდა, ზოგგან ქვევრები დაირღვა და ღვინო დაიღვარა. უზიანოდ თითქმის არც ერთი შენობა არ გადარჩენილა, ხოლო შესამჩნევად 55 შენობა დაზიანდა. ისეთი დიდი და მკვიდრი შენობებიც დაზიანდა, როგორიც არის არჩილ, ილია გრიგორის ძისა, იურა, ირაკლი, გიორგი და სხვა ჭავჭავაძეებისა. შილდაში ამავე მიწის-ძვრამ დააზიანა ორი ეკკლესია და 26 სახლი.

4 ოქტომბრიდან დაწყებული დღევანდლამდის ყოველ ღამეე, უფრო შუაღამის შემდეგ —მიწის-ძვრაა ს. ყვარელსა და შილდაში. 4 ოქტომბრიდან 11-მდის ხალხი ეზოებში სცხოვრობდა, მერე ზოგი შევიდა სახლში. საზოგადოდ, მიწის-ძვრის სრბოლა შემჩნეულია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, ცოტა დაგეზებით სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. თვითეული მიწის-ძვრა თან-და-თანობით ადიდებს დახეთქილ კედლების დაშორებას, თითქო ნელ-ნელა ამზადებს დასანგრევადაო. ყვარელში თითქმის მთელ სოფელში ბუხრებია დანგრეული. საცხენისის სკოლის შენობის ბუხრები, რაც სახურავს აცილებული იყო, მთლად მონგრეულია. 4 ოქტომბერს გამოსული მოსწავლენი ვეღარ შეიყვანეს სახლში, ღამეც ეზოში გაათიეს გამოტანილ ლოგინებზე. მართალია, ორი სამი ღამის შემდეგ ზოგი ისევ შევიდა სახლში, მაგრამ 26-მა მოსწავლემ უარი განაცხადა შესვლაზე და კიდევ რამდენსამე ღამეს კარში დარჩნენ.

4-ს ოქტომბერს მიწის-ძვრის დროს საქონელი ს. ყვარელისა და შილდისა მინდორში იყო. იქამდის ძლიერი იყო მიწის ძვრა, რომ ბევრი საქონელი წაიქცა, დანარჩენთ ბღავილი დაიწყეს, თვით მწყემსებიც ბევრნი წაქცეულან. ფრინველებმა საშინელი ხმაურობა ასტეხეს. ასევე იყო თვით სოფლებშიაც. ყვარელი და შილდა დაშორებულნი არიან 8 ვერსით. შილდიდან 3—4 ვერსის მანძილზე არის ალმატი, საბუე, ენისელი. მარტო შილდასა და ყვარელში ინძრა მიწა ძლიერ, სხვაგან ასე ძლიერად არა ყოფილა. ამას გარდა მარტო ყვარელსა და შილდაში იყო ყოველ ღამე 4-დან 11-მდის და შემდეგაც. ყვარელში თითქმის ყოველ წელიწადს არის მიწის-ძვრა. როცა შემახაში იყო მიწის ძვრა, ყვარელშიაც იყო. ამ დღეს ვინც ყვარელის მთაზე (კავკასიონის) ყოფილა, იმას უგრძვნია საშინელი გოგირდის სუნი, ვინც დურუჯის ხეობაში მოჰყოლია მიწის ძვრის დროს, უგრძვნია ნავთის სუნი. 1898 წელს გაზაფხულზე ყვარელში საშინელი ნიაღვრობა იყო, რომელმაც ერთი მესამედი სოფელი წალეკა. თვით ნიაღვარი შესდგებოდა ტალახისაგან, რომლის ზევითი პირი მალე გამაგრდა, ისე რომ კაცსა და პირუტყვს ზედ სიარული შეეძლოთ. სადაც შეიკრა ზედა პირი ამ ნიაღვარმა, მთელს მანძილზე ეს ზედა პირი ხალხისა და პირუტყვის მოძრაობის დროს ქანაობდა, როგორც წყალზე ვრცელი ნატეხი ყინულისა. თუ სადმე ჩატყდებოდა, ქვეშ ისევ ტალახი იყო. როცა გაშრა, ამ ზედაპირმა უფრო პირი შეიკრა, ახლა ამ ადგილას არც ტალახი იცის და არც წყალს იყენებს. ნიაღვრობის დროს ამ ტალახს ძლიერი სუნი ჰქონდა კუპრისა. ხალხში გადმოცემად არის დარჩენილი, რომ შილდის მთაში იმ მხრივ, სადაც ყადორის ც..ხეა, ცეცხლის მფრქვეველი მთა იყოვო. ყველა ეს დიდად საყურადღებოა და ღირსი მეცნიერთა გამოკვლევისა.

**ნადიკვრელი.**

## თეატრი

**სახალხო წარმოდგენა.** შაბათს, 19 ოქტომბერს, სახალხო თეატრში ქ-ნ გაბუნია-ცაგარლისა და ბ-ნ გამყრელიძის მონაწილეობით ქართულის სცენის მოყვარეთ წარმოადგინეს ბ-ნ გ. სუნდუკიანცის კომედია „დაქცეული ოჯახი". უმთავრეს როლების აღმასრულებელთ კარგად დაესწავლათ თავიანთი როლები და წარმოდგენაც კარგად ჩაივლიდა, რომ გულაბაანთ ოსეფას როლის შესრულება ი. იმედაშვილს არ ეკისრა. ბევრს ეცადა იმედაშვილი, მაგრამ იმის ცდისაგან არა გამოვიდა-რა. ოსეფას როლის მკრთალად წარმოდგენამ მთელს კომედიის წარმოდგენას უფერული და მოსაწყენი ელფერი მისცა. კარგად შეასრულეს თავიანთი როლები ქ. გაბუნია-ცაგარლისამ და ბ-ნმა გამყრელიძემ; ბევრი აცინა ხალხი გიჟ-მოზეს როლში ბ-ნმა ნ. გოცირიძემ. კარგი იყო აგრეთვე ი. რომანიშვილი და გვარიანი ნ. სარჯველაძეც. ესევე კომედია გაიმეორეს რკინის გზის სახელოსნოების თეატრში გუშინ, 21 ოქტომბერს.

## დაბა-სოფლები

**ნოსირი** (სამეგრელო). სწავლა-განათლების წყურვილი დიდია ჩვენში. ამით აიხსნება, სხვათა შორის, ისიც, რომ შარშან სოფლელებმა თავიანთ სამ-განყოფილებიანი სკოლის ორ-კლასიან სასწავლებლად გადაკეთება მოინდომეს და ამ აზრით თხოვნაც მისცეს სამინისტროს. მთავრობამ თხოვნა შეიწყნარა და ამასთან ყოველ-წლიური დახმარებაც აღუთქვა, მაგრამ... როგორც სხვაგან, აქაც ახალ-გაზდობა თითქმის ვერავერს იძენს უქართულოდ. უმეტესი ნაწილი ახალგაზდობისა, სხვაგან წასვლის შეუძლებლობისა გამო, იძულებულია იმას დასჯერდეს, რასაც აქ იძენს. ამ ჟამად სკოლაში 80 მდე ქალი და ვაჟი სწავლობს.

მოსავალი ყოველ-წლივ ბევრი მოგვდის, რადგან ეს სოფელი ტეხურას მარცხენა ნაპირაზე მდებარეობს; მაგრამ ესევე მდინარე დიდს ზარალს აძლევს სოფლელებს: ყოველ ადიდების დროს ისე წალეკავს ხოლმე მოსავალს, რომ ნათესის მაგიერ ქვიშას-და ჰხედავს კაცი. წლეულს აქეთ მოსავალს ცუდი დღე დაუდგა. პირველ ხანებში ხანგრძლივმა გვალვამ, შემდეგ უზომო წვიმებმა და ბოლოს უდროვო სიცივეებმა ბოლო მოუღეს ყველაფრის მოსავალს, უმეტესად სიმინდისას...

ორიოდე სიტყვა გზებზედაც. მცხოვრებნი არა სცდილობენ ისეთი ფართო გზა იქონიონ, რომ გამეხის ურემს შეეძლოს თავისუფლად გავლა. ამას გარდა, მცირე წვიმებს შემდეგ ორღობეებში ისეთი წუმპე და ტალახი დგება, რომ გავლა არამც თუ ურმით, ცხენითაც შეუძლებელია..

**ეგვიმარიონი.**

## უცხოეთის წვრილი ამბები

**იაპონელთა ჩვეულება.** ყველა ხალხს თავისი ჩვეულება აქვს და ამითაც განირჩევა სხვა ხალხისაგან. ბევრ ჩვეულებათაგან ერთი გვინდა გიამბოთ, რომელიც იაპონიის ზოგ მიგდებულ სოფლებში კიდევ დარჩენილა. მოკვდება აქ ვინმე თუ არა, დასაფლავების დღეს აუარებელი ხალხი მიაწყდება ჭირის-უფლებს—ნათესავი, ნაცნობი და უცნობიც. მასპინძელი მოვალეა, რაც შეიძლება, საუკეთესოდ გაუმასპინძლდეს სტუმრებს. ღარიბები მთელი სახლობით მიდიან და, რამდენიც შეუძლიათ, სჭამენ და კიდევ თან მიაქვთ იმდენი ხორაგი, რამდენსაცკი შეეძლებენ—დამშლელი არავინაა. ამისთანა შექცევის შემდეგ, ოჯახის პატრონი ხშირად კოტრდება კიდეც, თუ ამასთანავე ხელმოკლე შეძლებისაცაა. ხალხი ამისთანა შექცევას „ეშმაკის ქეიფს" ეძახის და დარწმუნებულია, რომ მიცვალებულის სული ადვილად შევა სამოთხეში, ეშმაკი გზას ვერ შეუკრავსო. ქელეხის დროს ჭირისუფლები თურმე ცალკე, პატარა ოთახში ჩაიკეტებიან და სტუმრებთან არ გამოდიან; სტუმრები-კი ქეიფს ეძლევიან და მიცვალებულის გამოსვენებაზე სიმღერასა და ცეკვას იწყებენ. თუ გამოსვენების დროს ხალხი არ მღერის და არ ცეკვავს, ეს მეტად ცუდი ნიშანია თურმე ჭირისუფლებისათვის—მათი დიდი უბედურებაა.

ახირებული ჩვეულება სცოდნიათ ამ კუთხეში ქორწილის დროსაც. სოფლელი თუ საქორწილოდ ფულს დაეძებს, თუნდაც უკანასკნელი ღარიბი იყოს, ყველამ უნდა ასესხოს სოფელში და ხელი მოუმართოს, მაგრამ საცოლემ დანიშნულ ვადაზე ყველას უნდა დაუბრუნოს ნასესხები. თუ მოვალემ, რაიმე მიზეზისა გამო, ფული დროზე ვერ დაუბრუნა პატრონს, მთელი სოფელი კარზე მიადგება და ვალის გადახდას მოსთხოვს; თუ ამანაც არ გასჭრა, მაშინ მოვალეს თავს ანებებენ, ხმას აღარავინ გასცემს და იქამდე მიიყვანენ, სოფლიდან განდევნიან.

ამ სოფლებში გასათხოვარ ქალებს ვაჟებთან მეგობრობა არ შეუძლიათ. თუ ქალი დაქვრივებისა და ან სხვა მიზეზით მშობლებს დაუბრუნდა, ამ შემთხვევაში არავის უფლება არა აქვს ამ ქალის ყოფა-ქცევას თვალ-ყური ადევნოს.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

21 ოქტომბერი

**რიაზანი.** ეგორიევის საერობო კრებამ დაადგინა გლეხთა განთავისუფლებიდან ორმოცის წ..ის შესრულების აღსანიშნავადააგოს სკოლა და ყველა სკოლებში დაჰკიდოს სურათი იმპერატორ ალექსანდრე მეორისა.

**ულიაბორგი.** ულიაბორგ-კემის რკინის გზის ნაწილი გაიხსნა.

**მოსკოვი.** ქალაქის მმართველობამ გადასწყვიტა საავადმყოფოთა უფროს ექიმებისაგან შეადგინოს კომისია, საქმეებისათვის ყოველ კვირა მოსალაპარაკებლად.

**ბრესტი.** პატრიოტულის გრძნობით კერფანტრის სასაფლაოდან გაემართნენ მამულისათვის დახოცილ მხედართა სამარისაკენ. მიმავალთა შორის იყვნენ ოფიცრებიცა და რუსეთის კრეისერ „ჰერცოგ ედინბურგსკი"-ს მეზღვაურნი, რომელთაც გვირგვინი მიჰქონდათ. ლეიტენანტმა პოპოვმა სიტყვა წარმოსთქვა, რამაც ტაშის ცემა გამოიწვია.

**ადენი.** რადგანაც იტალიამ საკმაოდ არა სცნო ის პირობანი, რომელსაც ოსმალეთი ზღვის ავაზაკთა თავ-დასხმისაგან უზრუნველ საყოფლად იძლევა, ამიტომ იტალიის ესკადრამ სროლა დაუწყო მიდის.

**რომი.** დამამტკიცებელი საბუთი არ არის იმისა, ვითომც მიდის ზარბაზნებს ესვრიანო.

**ვენა.** საბერძნეთის მეფე წავიდა.

**ბელგრადი.** გაზეთ „სტამპა"-მ დაბეჭდა ცნობა, რომ პიროტის საოლქო ხაზინაში 150,000 ფრანკი აღმოჩნდა გაფლანგულიო.

**სოფია.** „რეფორმი" იუწყება, რომ კიუსტენდილში კრატოვიდან შიკრიკი მოვიდა და გამოაცხადა დრაგომაშტელებთან შეტაკების ამბავი. მოკლული და დაჭრილია 200. ვისაც ბრძოლა შეეძლო, მთებში გაიხიზნენ, დანარჩენები დახოცილია. მალეშევის ოლქში აჯანყება ვრცელდება.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

## გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

**15 ოქტომბრიდან 15 მაისამდე**

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა)

**ა) ტფილისიდან მიდის:**

**ბათუმს:**—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

**ბაქოს:**—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს, 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

**ყარსს:**—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

**მიხაილოვოსა და ბორჯომს:**—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

**ბ) ბათუმიდან გამოდის:**

**ბაქო-ტფილისისაკენ:**—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

**შორაპნამდე:** საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 წ.)

**გ) ბაქოდან გამოდის:**

**ტფილის-ბათუმისაკენ:**—1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) (პარასკეობით, პირდაპირ მოსკოვიდან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

**დ) ქუთაისიდან გამოდის:**

**ბაქო-ტფილისისაკენ:**—ღამის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

**ბათუმისაკენ:**—1) ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.); 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.)! 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

**შორაპნისაკენ:**—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

**ე) ფოთიდან გამოდის:**

**რიონ-ქუთაისამდე:**—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.)

**სამტრედია-ბათუმამდე:**—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

**სამტრედია-ბაქომდე:**—საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს 28 წ.).


## განცხადებანი

იყიდება

სამ-სართულიანი

**სახლი**

დუქნებით და ფლიგელით, იძლევა 8%-ს წმინდა შემოსავალს. იკითხეთ ბაზრის ქუჩაზე სახლი № 8, დილით 9—10 საათ. და საღამოთი 5—6 საათ. (10—4)

**ქუთაისში**

სამ. ბ. თოფურიას

**სამკურნალო,**

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოშია 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—22)

Вышла Октябрьская (десятая) книга

**ЕЖЕМѢСЯЧНАГО ЛИТЕРАТУРНО-ПОЛИТИЧЕСКАГО ИЗДАНІЯ**

**РУССКАЯ МЫСЛЬ**

СОДЕРЖАНІЕ: 1) Вѣчный городъ.—Б. Д. Баборикына. Окончаніе. 2) Маленькіе разсказы. I. Утрата. II. Въ лѣсу.—Е. М. Милицыной. 3) Стихотворенія.—Н. Хлыстова. 4) Спрутъ. Калифорнскій романъ. Франка Норриса. Пер. съ Англ.—А. Г. Продолженіе. 5) Назакаты. Разсказъ.—О. Н. Ольнемъ. 6) Изъ исторіи далекаго сѣвера. К. Д. Носилова. 7) Письма Я. П. Полонскаго. 8) Забылъ. (Этюдъ) С. Н. Сергѣева. 9) Стихотвореніе.—Ив. Бунина. 10) Чего недостаетъ въ университетѣ нашимъ будущимъ юристамъ.—Сергѣя Живаго. 11) О положеніи преподавателей духовно-учебныхъ заведеній—N. N. 12) Новинки украинской поэзій.—Л. Старицкой-Черняховской. 13) Публичныя библіотеки въ Англіи—Б. Б-же. 14) Соціальная механика Лестера Уорда.—Е. Б. 15) Къ вопросу о публичныхъ и народныхъ библіотекахъ—читальняхъ, какъ факторахъ народнаго просвѣщенія.—К. 16) Очередные вопросы въ губерніяхъ царства польскаго. А. С. Скляра. 17) XII-й археологическій съѣздъ въ Харьковѣ.—Х. И. 18) Банкротство земельныхъ банковъ въ Германіи. М. Я. Герценштейна 19) Замѣтки читателя.—В. Г. 20) Письмо въ редакцію.—В. В, Каллаша. 21) Внутреннее обозрѣніе. 22) Иностранное обозрѣніе.—В. А. Г. 23) Современное искусство. —Ю. А. 24) Библіографическій отдѣлъ. 25) Объявленія.

**Продолжается подписка на 1902 г.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| Подп. цѣна съ доставкою и | 12 м. | 9 м. | 6 м. | 3 м. | 1 м. |
| пересылкою во всѣ мѣста Россіи: | 12 р. | 9 р. | 6 р. | 3 р. | 1 р. |
| За границу | 14 р. | 10 р. 50 к. | 7 р. | 3 р. 50 к. | 1 р. 25 к. |

Допускается разсрочка: при подпискѣ, 1 апрѣля, 1 іюля, 1 октября по 3 рубля—при непосредственномъ обращеніи въ контору или ея отдѣленія.

Цѣна отдѣльнаго номера съ пересылкой 1 руб. 30 коп. Книгопродавцамъ дѣлается уступка въ размѣрѣ 50 коп. съ полнаго годоваго экземпляра. Подписка въ разсрочку отъ книгопродавцевъ не принимается.

**ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ:**

ВЪ МОСКВѢ: въ конторѣ журнала—Ваганьковскій пер., д. Аплаксиной. ВЪ ПЕТЕРБУРГѢ: въ книжномъ магазинѣ Н. П. Карбасникова; ВЪ КІЕВѢ: въ книжномъ магазинѣ Н. Я. Оглоблина. ВЪ ВАРШАВѢ: въ книжномъ магазинѣ Н. П. Карбасникова. ВЪ ВИЛЬНѢ: въ книжномъ магазинѣ Н. П. Карбасникова. ВЪ ПЕРМИ: въ земскомъ центральномъ книжномъ складѣ.

При к—рѣ редакціи журнала «Русская Мысль» находится складъ изданій.

(შ. 1—1) Редакторъ-Издатель В. М. Лавровъ.